

1 შესავალი

1.1 ზოგადი ნაწილი

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) სექციური ცვლილებების (SR) პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ანგარიშში განხილულია შემოთავაზებულ სამუშაოებთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედების ტიპები, შემარბილებელი ზომები და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვა.

წინამდებარე ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის (ESB) ანგარიშში წარმოდგენილია სავსე კვლევებისა და ლიტერატურული მიმოხილვის ანგარიშები, რომლებიც მომზადებულია პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით. ESIA-ს მიზანია უზრუნველყოს ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ანთროპოგენურ გარემოზე პროექტის ყველა პოტენციური ზემოქმედების სრული გამოკვლევა, მათ შესახებ ანგარიშის მომზადება და საჭიროებისამებრ, მართვა. ამისათვის საჭიროა ბუნებრივი და სოციალური გარემოს არსებული მდგომარეობის მკაფიოდ განსაზღვრა, რაც წინამდებარე ანგარიშის ამოცანას წარმოადგენს.

WREP-SR პროექტის ESIA ჩაატარა საერთაშორისო ორგანიზაცია RSK Environment Limited (RSK)-მა, ქართულ პარტნიორ კომპანიებთან, კერძოდ "ძელქვა"-სა და ACT Research-თან ერთად, რომლებსაც შესაბამისად გარემოსდაცვითი და სოციო-ეკონომიკურ სფეროებში კვლევების წარმოებისა და კონსულტირების გამოცდილება გააჩნიათ. კულტურული მემკვიდრეობის კვლევები ჩატარებული იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ICOMOS საქართველოსა და BP-ს კულტურული მემკვიდრეობის მონიტორების მიერ. წყლის სინჯების ლაბორატორიული ანალიზი შესრულებულია სამეცნიერო-კვლევითი ფორმა „გამა“-ს მიერ.

1.2 WREP-ის ისტორია


1996 წლის მარტში საქართველოს მთავრობას და 12 ნავთობკომპანიას შორის დაიდო ხელშეკრულება ნედლი ნავთობის კასპიის ზღვიდან (აზერბაიჯანი) შავ ზღვამდე (საქართველო) ტრანსპორტირების შესახებ. ამ კომპანიების უმეტესობა აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (AIOC) მეწილეები არიან; AIOC წარმოადგენს ერთობლივ საოპერაციო კომპანიას, რომელიც არის ერთობლივი ოპერატორი კომპანია აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორის აზერის და ჩირაგის საბადოებისა და გიუნეშლის საბადოს ღრმა წყლის ნაწილის ერთობლივი განვითარების და პროდუქციის განაწილების ხელშეკრულების მიხედვით (დათარაღებულია 1994 წლის 20 სექტემბრით) (ACG PSA). ACG PSA-ის მიხედვით, კონტრაქტორ მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ AIOC-ის მეწილე კომპანიებს, მიენიჭათ ერთპიროვნული და ექსკლუზიური უფლება აწარმოონ ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობები კონტრაქტის მიხედვით, რომელიც მოიცავს აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორის აზერის და ჩირაგის საბადოებისა და გიუნეშლის საბადოს ღრმა წყლის ნაწილის ტერიტორიებს

ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით (HGA) განსაზღვრული იყო საოპერაციო კომპანიის ჩამოყალიბება საქართველოში, რომელიც ნავთობკომპანიებმა დააფუძნეს საქართველოს მილსადენის კომპანიის (GPC) სახით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სანაპიროდან საქართველოს შავი ზღვის სანაპირომდე ნედლი ნავთობის არსებული საექსპორტო მილსადენის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

WREP-ის რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება 1996 წელს ჩატარდა, გარემოსდაცვითი ნებართვა 1997 წელს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს (MoE) მიერ. მშენებლობა განხორციელდა 1997–1998 წლებში, ხოლო მილსადენი ექსპლუატაციაშია 1999 წლიდან.

WREP ახორციელებს ნავთობის ექსპორტს აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაზე მდებარე სანაგალოს ტერმინალიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სუფსის ტერმინალამდე. WREP-ის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 373 კმ-ია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრიდან სუფსამდე. საზღვრის გადაკვეთის შემდეგ მილსადენი თბილისს ჩრდილოეთის მხრიდან უვლის გვერდს და ჩრდილო-დასავლეთით სუფსის ტერმინალისკენ მიემართება. საქართველოში WREP-ის სისტემა მოიცავს სამ სატუმბ სადგურს (PS11, PS13 და PS15), ორ წნევის მარეგულირებელ სადგურს (PRS1 და PRS2), სამ უკუსარქველს, ოცდარვა ჩამკეტ სარქველსა და სუფსის ტერმინალს. სუფსის ტერმინალიდან საზღვაო ჩასატვირთ პლატფორმამდე ნავთობის ტრანსპორტირება ხდება კიდევ ერთი მილსადენით, რომელსაც ESIA-ში ეწოდება „საექსპორტო მილსადენი“.

WREP-ის მდებარეობა ნაჩვენებია სურ. 1-1-ზე.



სურ. 1-1: WREP (წითელი) და BTC/SCP (ლურჯი) მილსადენების გეოგრაფიული განლაგება

1.3 დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის დასაბუთება


WREP-SR პროექტი ხორციელდება WREP-ის უწყვეტი და უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნული პროექტი გულისხმობს PS11 სადგურსა და სუფსის ტერმინალს შორის, 330 კმ მანძილზე WREP-ის გასწვრივ მდებარე ცალკეული მონაკვეთების გამოცვლას ან მათთვის მარშრუტის შეცვლას. პროექტით დაგეგმილი სამუშაოები განპირობებულია შემდეგი ორი უმთავრესი მიზეზით:

- მეწყერები: საქართველოში საკმაოდ დინამიური გარემოა, რომელსაც გეოლოგიური და კლიმატური მიზეზების გამო მუდმივი გეომორფოლოგიური ცვლილებები ახასიათებს. ფერდობების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გადაწყდა მარშრუტის შეცვლა მილსადენის სამ მონაკვეთზე (RP-001a¹, RR-001 და RR-004a).

¹ RP-001a მონაკვეთი წარმოადგენს 52-ე და 55-ე საპარო ნიშნულებს შორის მდებარე RP-001 სექციის ნაწილს.

- მდინარის კვეთები: მდინარეები ასევე წარმოადგენს დინამიურ გარემოს. მდინარის კალაპოტისა და ნაპირების გამორეცხვის გამო საჭიროა როგორც WREP-ის, ისე საექსპორტო მილსადენის გადაკვეთების გამოცვლა მდ. სუფსაზე.

WREP SR-ის გამოსაცვლელი მონაკვეთები ნაჩვენებია სურ. 1-2-ზე და დეტალურადაა აღწერილი ESIA-ს მეხუთე თავში, რომლის სათაურია 'პროექტის აღწერა'.



სურათი 1-2: WREP-SR პროექტის მონაკვეთები

1.4 სამუშაოების მოცულობა და მეთოდოლოგიის მიმოხილვა

ESIA მოიცავს WREP-SR პროექტის ყველა კომპონენტს, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს. ესენია: მილსადენის მონაკვეთები, რომლებზეც დაგეგმილია მარშრუტის შეცვლა, ორი გამოსაცვლელი მდინარის კვეთა და ყველა ტიპის დროებითი სამუშაო, რომელიც ხელს უწყობს პროექტის ძირითად საქმიანობას (მაგ., მისასვლელი გზები).

ESIA აფასებს WREP-SR პროექტის პოტენციურ ზემოქმედებებს განვითარების ყველა ფაზაზე ექსპლუატაციის ეტაპის ჩათვლით, რომლებიც მოიცავს მშენებლობას, ექსპლუატაციაში გაშვებასა და ექსპლუატაციიდან გამოყვანას.

ESIA-ს პროცესში ინფორმაცია მიღებული იქნა მრავალრიცხოვანი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ლიტერატურული წყაროებიდან, რომელთა სრული ჩამონათვალი მოცემულია ESIA-ს თავში 15. ESIA-ს პროცესში განხორციელდა სათანადო ინფორმაციის სინთეზი და შეჯერება, რაც იმას განაპირობებს, რომ ESIA-ს ანგარიში და მისი დამატებები წარმოადგენს ყოვლისმომცველ, დამოუკიდებელ დოკუმენტა ნაკრებს. დამატებით, მომზადდა ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიში იმ მიზნით, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო ლიტერატურული მიმოხილვისა და სავალე კვლევების დროს მოპოვებული დეტალური ინფორმაცია.

WREP-SR პროექტის სამუშაოების მოცულობის დადგენის მიზნით ადგილი ქონდა ხელმისაწვდომი გარემოსდაცვითი და სოციო-ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვას ESIA-ს პროცესის დასრულებისთვის აუცილებელი ფონური ინფორმაციის ხარვეზების გამოსავლენად. გამოყენებული იყო ასევე WREP-ის რეაბილიტაციისა და მშენებლობის

პროექტის თავდაპირველი EIA (1996) და მისი დამატება (რომელიც შეიცავს ფასეულ ფონურ ინფორმაციას), როგორც ეს მოცემულია ESIA-ს თავში 1.7. ამ ხარვეზების ანალიზის მიდგომამ საშუალება მისცა პროექტს არ განმეორებულიყო უკვე ჩატარებული სამუშაო და შეგროვილიყო მაქსიმალურად სრულყოფილი, ფოკუსირებული, თანამედროვე ფონური ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიისათვის.

სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრის კვლევებმა აჩვენა, რომ WREP-SR პროექტის გარკვეული საკვანძო საკითხები საჭიროებდა დამატებით შესწავლას, ხოლო გარკვეული არსებული ფონური მონაცემები ან არ იყო წარმოდგენილი ან მოძველდა (თავდაპირველი

WREP-ის EIA-ს ფონური მონაცემები შეგროვდა 1996 წელს) და საჭიროებდა დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას. სპეციფიკურად WREP-ის EIA-სათვის ჩატარდა შემდეგი დეტალური კაბინეტური და საველე კვლევები:

- ნიადაგები
 - შეცვლილი მარშრუტის მონაკვეთების გასწვრივ არსებული ნიადაგების მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების ლიტერატურული მიმოხილვა
- ზედაპირული წყლები
 - შემოთავაზებული მილსადენის ახალი მონაკვეთებით გადაკვეთილი მდინარეების ჰიდროლოგიური პირობების საველე კვლევა, წყლის ხარისხის დანიშულების ჩათვლით WREP-SR პროექტის მიერ გადაკვეთილ დიდ მდინარეებზე და იმ მდინარეებზე, რომლებიც პროექტმა შეიძლება გამოიყენოს ჰიდროტესტისათვის საჭირო წყლის წყაროდ
- მიწისქვეშა წყლები
 - შეცვლილი მარშრუტის მონაკვეთების გასწვრივ არსებული ჰიდროგეოლოგიური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტების ლიტერატურული მიმოხილვა
- ეკოლოგია
 - ჰაბიტატებისა და სახეობების საველე გამოკვლევები მილსადენის მარშრუტის შეცვლილი მონაკვეთების გასწვრივ, მდინარეთა გადაკვეთებსა და მისასვლელი გზების გასწვრივ
 - მაკროუხერხემლოების გამოკვლევები მდ. ლიახვისა და მდ. სუფსის გადაკვეთებზე. გამოკვლევების შედეგები შეივსო ლიტერატურული მიმოხილვით მდ. სუფსაში მოხინაძრე თევზის სახეობებისა და პოპულაციების შესახებ
- საგზაო მოძრაობა
 - არსებული სატრანსპორტო დატვირთვის დონეები და ტიპები ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალი გზისა და AR69 მისასვლელი გზის გადაკვეთაზე
- კულტურული მემკვიდრეობა
 - პოტენციური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების არსებობა პროექტის ფიზიკური კვალის ფარგლებში
 - კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედების შეფასება WREP-SR პროექტის მცხეთის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უბანთან ახლომდებარე ნაწილისათვის
- სოციალურ-ეკონომიკური გარემო
 - ფონური პირობები და საკვანძო ტენდენციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ დასახლებებში.

წინამდებარე ESB-ს ანგარიშის მომდევნო თავებში წარმოდგენილია ტექნიკური ანგარიშები, რომლებიც მოამზადეს თითოეული დარგის სპეციალისტებმა. ფონური მდგომარეობის კვლევების განხორციელების ცხრაწლიანი პერიოდის განმავლობაში, მარშრუტი და პროექტის სამუშაოთა მოცულობა შეიცვალა, რაც განპირობებული იყო ახალი ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. განმეორებითი დაპროექტების შედეგად, ESB-ს ანგარიშში

წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე მოიცავს იმ მარშრუტებსაც, რომლებიც შეიცვალა ან უარყოფილი იქნა, თუმცა ისინი მაინც მოცემულია დამატებითი ზოგადი ინფორმაციის მოწოდების მიზნით იმ ტერიტორიებისათვის, რომლებიც საკვლევი არის სიახლოვეს მდებარეობს. საჭიროების მიხედვით, RSK-მ განახორციელა სპეციალისტების მიერ დაპროექტების ადრეულ სტადიებზე მომზადებული საველე ანგარიშების რედაქტირება, რათა ამოღებული ყოფილიყო ის ინფორმაცია, რომელიც ზედმეტი იყო მარშრუტის შეცვლის გამო.

1.5 E&S ფონური მდგომარეობის ანგარიშის სტრუქტურა

E&S ფონური მდგომარეობის ანგარიშის დოკუმენტი შედგება 8 თავისაგან, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრ. 1-1-ში.

ცხრ. 1-1: E&S ფონური მდგომარეობის ანგარიშის სტრუქტურა

თავი 1 შესავალი	ამ თავში მოცემულია E&S ფონური მდგომარეობის ანგარიშის კონტექსტი და სტრუქტურა
თავი 2 ნიადაგები	ნიადაგების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვა
თავი 3 ზედაპირული წყლები	თავი 3.1 - შესავალი თავი 3.2 - ჰიდროლოგიური კვლევები თავი 3.3 - წყლის ხარისხის კვლევა
თავი 4 მიწისქვეშა წყლები	ჰიდროგეოლოგიური ლიტერატურის მიმოხილვა
თავი 5 ეკოლოგია	თავი 5.1 - შესავალი თავი 5.2 - ანგარიშები შეცვლილი მარშრუტის მონაკვეთების შესახებ თავი 5.3 - ანგარიშები მისასვლელი გზების შესახებ თავი 5.4 - ანგარიშები მდ. სუფსისა და მდ. ლიახვის გადაკვეთების შესახებ თავი 5.5 - მაღალი საკონსერვაციო ღირებულების (გაზაფხულზე მოყვავილე) მცენარეთა სახეობები
თავი 6 სატრანსპორტო მოძრაობა	მონაცემები სატრანსპორტო მოძრაობის შესახებ
თავი 7 კულტურული მემკვიდრეობის კვლევები	თავი 7.1 - კულტურული მემკვიდრეობის ფონური მდგომარეობის ანგარიში (მისასვლელი გზები) თავი 7.2 - კულტურული მემკვიდრეობის ფონური მდგომარეობის ანგარიში (მილსადენის მარშრუტი) თავი 7.3 - მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედების შეფასება
თავი 8 სოციო-ეკონომიკური კვლევები	თავი 8.1 - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებების (PAC) ლიდერების გამოკითხვა, 2016 წ. თავი 8.2 - მისასვლელი გზების გამოკვლევა, 2016 წ.